

სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა გენადი სუბარის საქმის განხილვა და განსასჯელი უდანაშაულოდ ცნო.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გენადი სუბარს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული - ქურდობა, კერძოდ, თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N3-ში მდებარე ტყე-პარკის დამცავი ღობის რკინის ორფრთიან კარების ფარული დაუფლება. ნივთმტკიცება სამართალდამცველებმა გენადი სუბარის საცხოვრებელი სახლის ეზოდან ამოიღეს.

გამოძიების დასრულების შემდეგ საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა.

როგორც წინასწარი, ასევე სასამართლო გამოძიებისას გენადი სუბარმა მისთვის წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და განმარტა, რომ რკინის კარები ჩამოტეხილი იყო და გარეშე პირებს რომ არ მოეპარათ, კარებს საცხოვრებელი სახლის ეზოში ინახავდა.

სასამართლო სხომაზე მოწმის სახით დაკითხულმა განსასჯელის მეზობლებმა სრულად დაადასტურეს გენადი სუბარის ჩვენება.

განაჩენის გამოტანისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო აღნიშნული ჩვენებები, ასევე საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული სხვა ტკიცებულებები, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი წარდგენილი ბრალდებით პირის დამნაშავედ ცნობისთვის.

შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ გენადი სუბარი უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა.